ბრიტანულ–ქართული აკადემია

შპს ბრიტანულ-ქართული აკადემია
ს/კ: 204 497 829
ლეო კვაჭაძის 17 (ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორია)
თბილისი 0186, საქართველო
ტელ: (995 32) 2 251 253; (995) 577 227 226
ელ.ფოსტა: bga@bga.ge
ვებგვერდი: www.bga.ge

# ბრიტანულ-ქართული აკადემიის სასწავლო პროცესის ხელშემწყობი ქცევის პოლიტიკა და პროცედურები

| | |
|---|---|
| **დასახელება:** | ქცევის პოლიტიკა |
| **სტატუსი:** | სავალდებულო |
| **დამტკიცების დონე:** | აკადემიური დირექტორი |
| **დანერგვაზე პასუხისმგებელი პირი:** | აკადემიური დირექტორის მოადგილე |
| **განახლების პროცესი:** | ყოველწლიური |

**ბოლო განახლების დამტკიცება: ბრძანების N4-01/22/08-25 /2025 წლის 22 აგვისტო**

# ბრიტანულ-ქართული აკადემიის სასწავლო პროცესის ხელშემწყობი ქცევის პოლიტიკა

## ნაწილი 1: პოლიტიკა

სასკოლო საზოგადოების ეფექტიანი და კონსტრუქციული ფუნქციონირებისთვის აუცილებელია და, ამდენად, ბრიტანულ-ქართული აკადემიის (BGA) თემის თითოეულ წევრს მოეთხოვება დადებითი ქცევა. მიგვაჩნია, რომ დადებითი ქცევა ასახავს ჩვენს ძირითად ფასეულობებს: პატივისცემას, პასუხისმგებლობასა და შეუპოვრობას. უპირველეს ყოვლისა, დადებითი ქცევა უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის უსაფრთხო და ხელსაყრელ გარემოში სწავლისა და, შესაბამისად, წინსვლის შესაძლებლობას აკადემიური მიღწევებისა და პიროვნული განვითარების თვალსაზრისით.

ბრიტანულ-ქართული აკადემიის ქცევის პოლიტიკა მიზანად ისახავს წაახალისოს დადებითი სასწავლო ქცევა, ხოლო უარყოფით ქცევაზე - ისეთ ქმედებებზე, რომლებიც უარყოფითად აისახება სწავლასა და მოსწავლეთა კეთილდღეობაზე - რეგირების პროცესი იყოს მყისიერი, თანმიმდევრული და სამართლიანი

## მიზნები

- უსაფრთხო სასწავლო გარემოს უზრუნველყოფა ყველა მოსწავლისა და თანამშრომლისთვის;
- ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც წაახალისებს და აძლიერებს დადებით სასწავლო ქცევას;
- ჩვენი ძირითადი ღირებულებების- პატივისცემა, პასუხისმგებლობა და შეუპოვრობა - ხელშეწყობა;
- თავდაჯერებულობის, შინაგანი დისციპლინისა და პოზიტიური ურთიერთობების ხელშეწყობა;
- მოლოდინების განსაზღვრა და ამ მოლოდინების გააზრების უზრუნველყოფა;
- ქცევის მართვის თანმიმდევრული მიდგომის ჩამოყალიბება მთელი სკოლის მასშტაბით;

## სკოლის ეთიკური პრინციპები

ჩვენი სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრს, მოსწავლეს, თანამშრომელსა და მშობელს ქცევის მაღალი სტანდარტების დემონსტრირების მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა ეკისრება. საზოგადოების თითოეული წევრი მიზნად უნდა ისახავდეს:

- შექმნას პოზიტიური კლიმატი და გარემო რეალისტური მოლოდინის ფარგლებში;
- ყურადღება გაამახვილოს ჯგუფში ცალკეული პიროვნების დაფასების მნიშვნელობაზე ;
- პირადი მაგალითით ხელი შეუწყოს კეთილსინდისიერი და თავაზიანი ურთიერთობის აუცილებლობას;
- უზრუნველყოს მზრუნველი, უსაფრთხო და ეფექტური სასწავლო გარემოს ჩამოყალიბება;
- წაახალისოს ურთიერთობები, რომლებიც დაფუძნებულია სიკეთეზე, პატივისცემასა და სხვათა საჭიროებების გააზრებაზე;

- უზრუნველყოს სამართლიანი მოპყრობა-დამოკიდებულება ყველა ადამიანის მიმართ, ასაკის, სქესის, რასის, შესაძლებლობებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მიუხედავად;
- გამოხატოს, რომ აფასებს ყველა ადამიანის ძალისხმევასა და წვლილს;

## განმარტებები

### დადებითი ქცევა

**დადებითი სასწავლო ქცევა** შესაძლებლობას აძლევს მოსწავლისს ურთიერთქმედებას  სასწავლო გარემოსთან და მის წარმატებით ჩართულობას  სასწავლო პროცესში.  ეს გულისხმობს მის ქცევას შესაბამის აქტივობებზე, გაკვეთილებზე, თემთან, საკუთარ თავთან, თანატოლებსა და სკოლის თანამშრომლებთან. დადებითი სასწავლო ქცევა მოიცავს მოცემულ დავალებაზე ფოკუსირებას, დისკუსიაში სათანადო წვლილის შეტანას, სხვა ადამიანების სწავლისა და კეთილდღეობის პატივისცემასა და ბრიტანულ-ქართული აკადემიის ძირითადი ღირებულებების აშკარა დაცვას. აკადემიას მაღალი მოთხოვნები აქვს მოსწავლეების, მათი ქცევისა და დამოკიდებულებების მიმართ. ბრიტანულ-ქართული აკადემიის მოსწავლეებისგან მოველით:

**პატივისცემას:**

- სკოლაში იმოძრავეთ უსაფრთხოდ და ჩუმად;
- მოერიდეთ სხვა პირებისთვის ხელის შეშლას ან მათ შეწუხებას;
- მყისიერად  შეასრულეთ მითითებები;
- ისაუბრეთ თავაზიანად და გარემოსთვის შესაბამისი ტონითა და ლექსიკით;;
- თავაზიანად და ზრდილობიანად მოექეცით სკოლის თანამშრომლებს, თანატოლებსა და სტუმრებს;

**პასუხისმგებლობას**:

- იყავით კარგად აღჭურვილი და მომზადებული სასწავლო პროცესისთვის;
- გამოცხადდით დროულად, დაუგვიანებლად  დღის დასაწყისში და ყველა გაკვეთილზე;
- ატარეთ სასკოლო ფორმა ან, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ტანსაცმელი (მაგ. მეცნიერების ან სპორტისთვის);
- გაუფრთხილდით გარემოს და სკოლის ქონებას;
- მოათავსეთ ნაგავი, ნარჩენები და სხვ.არასაჭირო ნივთები სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში;
- სკოლაში შესვლამდე გადააგდეთ საღეჭი რეზინი.

**გამძლეობას:**

- გესმოდეთ, რომ ადამიანები უშვებენ შეცდომებს, ისწავლეთ ამ შეცდომებზე და წინ წადით;
- აღიარეთ დანაშაული, თუნდაც ეს რთული იყოს, რათა ხელი შეუწყოთ საკითხის გადაწყვეტას;
- იყავით მზად ბოდიშის მოსახდელად, თუ მიხვდებით, რომ შეცდომა დაუშვით;
- რთულ სიტუაციებში გააკეთეთ ყველაფერი, რაც შეგიძლიათ;

## უარყოფითი ქცევა

**უარყოფითი ქცევა** არის ნებისმიერი ქმედება, რომელიც შეიძლება უარყოფითად აისახოს ამ პირის ან სხვების სწავლაზე ან კეთილდღეობაზე.

უარყოფითი ქცევა განისაზღვრება შემდეგნაირად:

- ხელის შეშლა გაკვეთილებზე, შესვენებაზე, ლანჩის პერიოდში, საგანმანათლებლო ვიზიტებისა და კლასგარეშე აქტივობების დროს (კლასგარეშე აქტივობები ეხება სკოლის მიერ ორგანიზებულ ნებისმიერ აქტივობას);
- რომელიმე დავალების შეუსრულებლობა სათანადო მიზეზის გარეშე;
- უარყოფითი და უპატივცემულო დამოკიდებულება სხვა პირების მიმართ;
- ბრიტანულ-ქართული აკადემიის წესების (მაგ. სასკოლო ფორმის ტარება) სისტემატური დარღვევა ;

**სერიოზული** უარყოფითი ქცევა განისაზღვრება, შემდეგნაირად:

- ზემოხსენებული მოსწავლის ქცევის წესების არაერთგზის დარღვევა;
- ბულინგი;
- არასასურველი სექსუალური ქცევა და ინტიმური ფიზიკური კონტაქტი: ნებისმიერი ქმედება, რომელიც იწვევს დამცირებას, შიშს ან დაშინებას
- დისკრიმინაციული ქცევა (მაგ. რასის, სქესის ნიშნით, ჰომოფობიური ან სხვაგვარი დისკრიმინაცია);
- ქონების დაზიანება;
- ქონების მოპარვა;
- ჩხუბი და ნებისმიერი სახის აგრესიული ქცევა;
- ბრალდებები ბოროტი განზრახვით მოსწავლეების, სკოლის თანამშრომლებისა და სკოლაში მომუშავე ზრდასრული ადამიანების მიმართ;
- დანაშაულებრივი ქმედებები, მათ შორის: ალკოჰოლის, ნარკოტიკების, სიგარეტის, ასანთის, სანთებლის, ნებისმიერი სახის იარაღის, აზარტული თამაშების, აზარტული თამაშის საშუალებების, შეუსაბამო, უკანონო ან რასობრივი/პოლიტიკური თვალსაზრისით პროვოკაციული მასალების, მაგალითად რასისტული პროპაგანდის, პორნოგრაფიული მასალების, პოლიტიკური ან რასობრივი ნიშნით ძალადობის წამახალისებელი მასალების შენახვა ან/და გავრცელება.

სერიოზული უარყოფითი ქცევის - ან თუ ასეთი ქცევა საჭიროებს ჩარევას - გამო ბრიტანულ-ქართულმა აკადემიამ შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება ჩართოს გარეშე უწყებები (მაგ. პოლიცია).

## ბულინგი

ბულინგის საწინააღმდეგო პოლიტიკის თანახმად, ბულინგი არ არის ერთჯერადი კონფლიქტი ან მეგობართან „ჩხუბი“. მოსწავლეები სწავლობენ, რომ ღირსეული კონფლიქტი/დავა ცხოვრების ბუნებრივი ნაწილია. ყურადღება უნდა გამახვილდეს პრობლემების პატივისცემით გადაჭრის სტრატეგიებზე. ასეთი სიტუაციების მართვასა და სტრატეგიების შემუშავებაში მოსწავლეებს ჩვენი პიროვნული განვითარებისა და კეთილდღეობის (PDW) სასწავლო პროგრამა ეხმარება.

ბრიტანულ-ქართული აკადემიის განმარტებით, ბულინგი არის:

*„ნებისმიერი სახის არასასურველი, აგრესიული ქცევა სასკოლო ასაკის ბავშვებს შორის, რაც გულისხმობს ძალაუფლების რეალურ ან აღქმულ დისბალანსს. ქცევა მეორდება, ან არსებობს მისი გამეორების ალბათობა დროთა განმავლობაში“.*

იმ მოსწავლეებს, რომლებიც თავად განიცდიან ბულინგს ან იმ მოსწავლეებს, რომლებიც ჩაგრავენ სხვებს, შეიძლება ჰქონდეთ სერიოზული, ხანგრძლივი პრობლემები. იმისათვის, რომ ქცევა ბულინგად ჩაითვალოს, იგი უნდა იყოს მიზანმიმართულად დამაზიანებელი და რთული იყოს ასეთი ქცევისგან თავის დაცვა. ქცევა უნდა გულისხმობდეს **არათანაბარ ძალაუფლებას** (ძალაუფლების დისბალანსი) და **მეორდებოდეს** დროთა განმავლობაში.

არსებობს ბულინგის შემდეგი სახეები:

- ემოციური: არაკეთილგანწყობა, გარიყვა, ტანჯვა;
- ფიზიკური: ჩარტყმა, ფეხის დარტყმა, ხელის კვრა ან ფიზიკური ძალადობის ნებისმიერი ფორმა, ნივთების წართმევა;
- დისკრიმინაციული: დაცინვა, წარწერები (წერილობითი, ელექტრონული, წარწერები კედელზე და ა.შ.), რასობრივი, ჰომოფობიური ჟესტები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ და სხვა სახის დისკრიმინაციული ქცევა;
- სექსუალური: უხამსი გამონათქვამები, არასასურველი მასალები (ვიდეოები, ფოტოები), ჟესტები, არასასურველი ყურადღება ან შეუსაბამო კონტაქტი;
- სიტყვიერი, პირდაპირი ან არაპირდაპირი: შეურაცხმყოფელი/სალანძღავი გამოთქმების გამოყენება, სარკაზმი, ჭორების გავრცელება ან დაცინვა/გაღიზიანება;
- კიბერბულინგი: ბულინგი, რომელიც ხორციელდება ონლაინ, მაგალითად, სოციალური ქსელების, თამაშების ან შეტყობინებების გასაგზავნი აპლიკაციების მეშვეობით, რაც, შესაძლოა, უარყოფითად აისახოს მოსწავლეთა სასკოლო ცხოვრებასა და კეთილდღეობაზე.

## როლები და პასუხისმგებლობები

### მშობელი/აღმზრდელები:

ბრიტანულ-ქართულ აკადემიაში ჩვენ ვაყალიბებთ დადებით ურთიერთობებს ჩვენს სასკოლო

საზოგადოებაში. სკოლაში მოსწავლეთა დადებითი ქცევის ჩამოყალიბების პროცესში ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ ჯგუფური მიდგომის აუცილებლობაზე. მხარდაჭერა და თანამშრომლობა ოჯახის მხრიდან უაღრესად მნიშვნელოვანია ჩვენი მოსწავლეების წარმატებისთვის.

მშობლებისგან/აღმზრდელებისგან ჩვენ მოველით, რომ:

- მხარს დაუჭერენ ბრიტანულ-ქართული აკადემიის სასწავლო ქცევის პოლიტიკის დანერგვას;
- დააფასებენ შვილის წარმატებას ჩვენთან ერთად;
- წაახალისებენ შვილს, რათა მან მაქსიმალურად გამოიყენოს ბრიტანულ-ქართულ აკადემიაში არსებული შესაძლებლობები;
- ჩაუნერგავენ შვილს, რომ მან უნდა დააფასოს და პატივი უნდა სცეს სხვა მოსწავლეებს და ბრიტანულ-ქართულ აკადემიაში მომუშავე ყველა ადამიანს;
- დარწმუნდებიან, რომ მათი შვილი დადის ბრიტანულ-ქართულ აკადემიაში ბრიტანეთისა და ადგილობრივი ხელისუფლების მოთხოვნების შესაბამისად, სკოლაში ცხადდება პუნქტუალურად და მზად არის ყველა გაკვეთილისთვის;
- მხარს დაუჭერენ ბრიტანულ-ქართულ აკადემიას მათი შვილის განათლებაში აქტიური ჩართულობით;
- მონაწილეობას მიიღებენ ბრიტანულ-ქართული აკადემიის ქონების განზრახ დაზიანებით ან დაკარგვით გამოწვეული ხარჯების ანაზღაურებაში;
- დარწმუნდებიან, რომ მათი შვილი სრულყოფილად ატარებს ბრიტანულ-ქართული აკადემიის სასკოლო ფორმას;
- დაეხმარებიან შვილს, რათა მან შეინარჩუნოს დადებითი ქცევის დინამიკა ბრიტანულ-ქართულ აკადემიაში სწავლის პერიოდში;
- ხელს შეუწყობენ მშობელთა პოზიტიურ ჩართულობას კონფერენციებსა და მშობელთა ან სხვა შესაბამის სასკოლო ღონისძიებებზე დასწრებით;
- საჭიროების შემთხვევაში, იმუშავებენ მოსწავლეთა მხარდამჭერ გუნდთან ან უმაღლეს ხელმძღვანელობასთან ერთად ქცევის გეგმის შესამუშავებლად და განსახორციელებლად, უწყვეტობისა და თანმიმდევრულობის უზრუნველყოფის მიზნით.

## თანამშრომლები:

ბრიტანულ-ქართული აკადემიის ყველა თანამშრომელს მოეთხოვება ქცევის ეფექტურად და სამართლიანად მართვა და მოსწავლეებსა და ერთიმეორესთან ურთიერთობისას ეკისრება უმაღლესი სტანდარტების დემონსტრირების პასუხისმგებლობა.

ჩვენმა თანამშრომლებმა:

- მუდმივად უნდა წაუყენონ მაღალი მოთხოვნები ყველა მოსწავლეს, როგორც კლასში, ასევე კლასის გარეთ

- პროაქტიულად უნდა გამოავლინონ და დააჯილდოონ ის მოსწავლეები, რომლებიც ბრიტანულ-ქართული აკადემიისა და საერთაშორისო ბაკალავრიატის (IB) ღირებულებების დემონსტრირებას ახდენენ;
- უნდა შექმნან პოზიტიური, მზრუნველი და კეთილგანწყობილი გარემო;
- უნდა მოახდინონ პოზიტიური ურთიერთობების დემონსტრირება და უზრუნველყონ სამართლიანი მოპყრობა ყველას მიმართ
- ყურადღება უნდა გაამახვილონ, რომ მნიშვნელოვანია პიროვნული დაფასება;
- ხელი უნდა შეუწყონ კარგ მანერებსა და თავაზიანობას ბრიტანულ-ქართული აკადემიის საზოგადოების მიმართ;
- უნდა წაახალისონ ურთიერთპატივისცემასა და ურთიერთგაგებაზე დამყარებული ურთიერთობები;
- ეფექტურად უნდა გაუწიონ წინააღმდეგობა და შეცვალონ მიუღებელი ქცევა;

ყველა თანამშრომელი ხელს უწყობს მოსწავლეთა უსაფრთხო გადაადგილებას სკოლის ტერიტორიაზე: ყველა მოვალეობის დროული შესრულების, ანგარიშგების სისტემის გამოყენებით ქცევასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების ეფექტური კომუნიკაციისა და დადებითი შედეგების მისაღწევად შესაბამის თანამშრომლებთან მუშაობის გზით.

მიგვაჩნია, რომ ბრიტანულ-ქართული აკადემიის მასწავლებლები ჩვენი საზოგადოების უმნიშვნელოვანეს ნაწილს, მისაბაძ მაგალითს, მენტორებსა და განმანათლებლებს წარმოადგენენ, რომლებიც ქმნიან მომავალ თაობებს.

## საშუალო რგოლის ხელმძღვანელები (დეპარტამენტის უფროსები, საფეხურის კოორდინატორები და სხვა პასუხისმგებელი პირები)

ბრიტანულ-ქართულ აკადემიაში საშუალო რგოლის ხელმძღვანელები ერთად მუშაობენ დადებითი სასწავლო ქცევისადმი თანმიმდევრული მიდგომის უზრუნველყოფის მიზნით.

საშუალო რგოლის ხელმძღვანელებმა უნდა:

- განსაზღვრონ მაღალი მოთხოვნები სასწავლო ქცევასთან დაკავშირებით სხვადასხვა საგნობრივი მიმართულებაში;
- გაუწიონ მონიტორინგი, შეაფასონ და განიხილონ სასწავლო ქცევა საგნობრივი მიმართულებების ფარგლებში;
- უზრუნველყონ გაკვეთილების სათანადოდ დაგეგმვა;
- მხარი დაუჭირონ და მენტორობა გაუწიონ კლასის მასწავლებლებს დადებითი სასწავლო ქცევის ხელშეწყობის მიზნით;
- გამოიყენონ საგნობრივი შეხვედრები კონკრეტული მოსწავლეებისა და სტრატეგიების კონფიდენციალურად განსახილველად;
- ყოფაქცევასთან დაკავშირებული სერიოზული ინციდენტების შემთხვევაში ხელი შეუწყონ შერიგების შეხვედრებსა და მოსწავლის შეხვედრებს თანამშრომლებთან, მოსწავლეებსა და მშობლებთან,
- ყოფაქცევასთან დაკავშირებული კონკრეტული პრობლემების შესახებ მიაწოდონ ინფორმაცია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების (SEN) /ინგლისური ენისა (EAL)

და უმაღლესი ხელმძღვანელობის გუნდებს.

## უმაღლესი ხელმძღვანელობის გუნდი

ბრიტანულ-ქართულ აკადემიაში უმაღლესი ხელმძღვანელობის გუნდი მუშაობს, რათა სასწავლო ქცევის პოლიტიკა თანმიმდევრულად იქნას გამოყენებული და აკადემია შეესაბამებოდეს საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკას.

უმაღლესმა ხელმძღვანელობამ უნდა:

- დანერგოს და მონიტორინგი გაუწიოს ქცევის სტრატეგიებს ცალკეული მოსწავლეებისთვის ბრიტანულ-ქართულ აკადემიაში მოქმედი წახალისებისა და სასჯელის ზომების შესაბამისად;
- გამოიძიოს ყოფაქცევასთან დაკავშირებული ინციდენტები და მიაწოდოს ინფორმაცია შესაბამის თანამშრომლებს განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ
- მიაწოდოს ინფორმაცია მშობლებს/მზრუნველებს ყოფა-ქცევასთან დაკავშირებული პრობლემების/ინციდენტების შესახებ;
- მონიტორინგი გაუწიოს მოსწავლეთა აკადემიურ თუ ყოფა-ქცევასთან დაკავშირებულ წინსვლას;
- შეაგროვოს, შეაჯეროს და მონიტორინგი გაუწიოს პუნქტუალურობის, ინკლუზიური მხარდაჭერისთვის მიმართვები , და სხვა სათანადო ინფორმაციას;
- წარმოადგინოს სათანადო ინფორმაცია და მონაცემები მოსწავლის სკოლიდან დროებით დათხოვნის/განრიდების შესახებ
- დაუკავშირდეს საშუალო რგოლის ხელმძღვანელობას კონკრეტულ საგნებში დადებითი სასწავლო ქცევის წახალისების მიზნით;
- მართოს სასჯელის სახით  დასვენების  დროის შეზღუდვა იმ მოსწავლეებისთვის, რომლებსაც შეეზღუდათ სოციალური დრო;
- გამოიძიოს სკოლიდან დროებით განრიდების  ნებისმიერი შემთხვევა და მიიღოს გადაწყვეტილება შესაბამისი ქმედებების შესახებ;

## მენტორები

ბრიტანულ-ქართულ აკადემიაში მენტორებს განსაკუთრებული როლი აკისრიათ მოსწავლეებზე ზრუნვის, პიროვნულ, სოციალურ და აკადემიურ წინსვლასა და მიღწევებზე ზედამხედველობის თვალსაზრისით. ამავე დროს, რაიმე სახის პრობლემის არსებობის შემთხვევაში, ისინი უპირველეს საკონტაქტო პირებს წარმოადგენენ. მენტორები ყოველდღიურად ხვდებიან თავიანთ მოსწავლეებს და ხშირად ისინი ყველაზე უკეთ ამჩნევენ პრობლემებს, როდესაც ასეთი პრობლემები თავს იჩენს სკოლაში. ისინი მოსწავლეთა მხარდამჭერი გუნდის საყრდენს წარმოადგენენ, ხოლო აკადემიის წარმატება ფასდება მენტორებსა და მათ მოსწავლეებს შორის არსებული მხარდამჭერი ურთიერთობების სიღრმითა და ხარისხით. აუცილებელია, რომ მენტორები კარგად იცოდნენ თავიანთი მოსწავლეებს და ამ ინფორმაციას საფეხურის კოორდინატორებს და დირექტორის მოადგილეებს უზიარებდნენ.

## მოსწავლეები

მოსწავლეთა ქცევა სკოლის ტერიტორიაზე სასწავლო პროცესისა და სასკოლო ღონისძიებების დროს:

1. მოსწავლე დროულად ცხადდება გაკვეთილზე და სკოლის მიერ ორგანიზებულ სხვა საგანმანათლებლო ღონისძიებაზე.
2. მოსწავლე გაკვეთილზე მოდის მომზადებული, სასწავლო პროცესისათვის აუცილებელი ნივთებით.
3. მოსწავლე გამოხატავს  აზრებს და შეხედულებებს პატივისცემით, სხვა პირთა უფლებების შელახვის გარეშე.
4. სასწავლო პროცესის დროს მოსწავლე არ იყენებს მობილურ ტელეფონს ან სხვა ტექნიკურ საშუალებებს.*
5. მოსწავლე ხელს არ უშლის მასწავლებელსა და სხვა მოსწავლეებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას.
6. მოსწავლე პატივს სცემს სხვის აზრს და აკადემიურ ნაშრომს, სხვისი ინტელექტუალური საქმიანობის შედეგად შექმნილ პროდუქტს არ ასაღებს თავისად.
7. მოსწავლე არ ეწევა რელიგიურ და პოლიტიკურ პროპაგანდას.
8. მოსწავლე არ ტოვებს საკლასო ოთახს მასწავლებლის ნებართვის გარეშე.
9. მოსწავლე უფრთხილდება და არ აზიანებს საკუთარ, სხვა პირთა და სკოლის ქონებას.
10. მოსწავლე იცავს სისუფთავეს სკოლაში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე.

** სასწავლო დღის დაწყებამდე მოსწავლე ვალდებულია მობილური ტელეფონი მოათავსოს სპეციალურად განკუთვნილ შესანახ უჯრაში სასწავლო დღის დასრულებამდე. მობილური ტელეფონის ჩამორთმევის პირველ შემთხვევაში მოსწავლე ტელეფონის დაბრუნებას სასწავლო დღის მიწურულს, პასტორალური ოფისიდან შეძლებს. განმეორებით შემთხვევაში, მოსწავლის ტელეფონი პასტორალურ ოფისში სამი სასწავლო დღის განმავლობაში დარჩება, ხოლო ტელეფონის მესამედ აღმოჩენის შემთხვევაში მოსწავლეს ნივთი 1 კვირის განმავლობაში ჩამოერთმევა და დაუბრუნდება მშობლის სკოლაში გამოცხადების შემთხვევაში.*

## ნაწილი 2: პროცედურები

### ჯილდოები და სასჯელის ზომები

### ზოგადი პროცედურები და თანამშრომელთა პროფესიული განვითარება

უწყვეტი პროფესიული განვითარების ფარგლებში თანამშრომლებს უტარდებათ სწავლება ქცევითი სტრატეგიების შესახებ და ისინი ვალდებულნი არიან იცოდნენ საკუთარი პასუხისმგებლობები. გვესმის, რომ, როდესაც ცალკეული მოსწავლეები მუდმივად ავლენენ ხელის შემშლელი ქცევას, ამის მიზეზი შეიძლება იყოს კეთილდღეობის პრობლემები. ეს საკითხი განხილულია სკოლის მრჩევლის პოლიტიკასა და პროცედურებში. ასეთი საჭიროებების

განსაზღვრის შემთხვევაში, ჩვენ უზრუნველვყოფთ მოსწავლისთვის შესაბამისი მხარდაჭერის აღმოჩენას და მჭიდროდ ვითანამშრომლებთ მშობლებთან, საჭიროების შემთხვევაში, სხვა საგანმანათლებლო ან/და ჯანდაცვის პროფესიონალებთან ერთად.

თანამშრომლები მუდმივად იმყოფებიან სკოლის ირგვლივ შესვენების დროს და გაკვეთილების პერიოდში, რათა შეამოწმონ, რომ მოსწავლეები მართებულად იყენებენ სკოლის ტერიტორიას და იქცევიან სათანადოდ. ცალკეული მასწავლებლები ხშირად ჩარევის პირველ და, შესაძლოა, ერთადერთ საფეხურს წარმოადგენენ. მასწავლებლები წაახალისებენ დადებით სასწავლო ქცევას საკლასო ოთახებში, რეაგირებას ახდენენ წვრილმან დარღვევებზე კლასის გარეთ, როგორც ამას მიზანშეწონილად მიიჩნევენ და თავად იძლევიან კარგი ქცევის მაგალითს. ხშირად საჭიროა სიტყვიერი წახალისება, ახსნა-განმარტება ან შეხსენება. პრობლემები და წუხილი დროულად ეცნობება შესაბამის თანამშრომლებს.

## მოსწავლეთა მხარდამჭერი ოფისი

მოსწავლეთა მხარდამჭერ ოფისში შექმნილია უსაფრთხო და დამამშვიდებელი გარემო, სადაც მოსწავლეებს შეუძლიათ განიხილონ ინციდენტები მომზადებულ თანამშრომლებთან ერთად, რაც აფერხებს უარყოფითი ქცევის ყოველგვარ მოდელს. ამ პროცესის მიზანია იყოს განმავითარებელი, რადგან მოსწავლეები აღიარებენ თავიანთ ქცევას, აცნობიერებენ, თუ როგორ მოქმედებს მათი ქცევა მათ სწავლასა და კეთილდღეობაზე და ასევე ამ ქცევის გავლენას სხვებზე, საჭიროების შემთხვევაში, იხდიან ბოდიშს და ცდილობენ შემდგომში უკეთესი გადაწყვეტილებები მიიღონ. მოსწავლეები არასოდეს რჩებიან ზედამხედველობის გარეშე და თანამშრომლები ახდენენ ბრიტანულ-ქართული აკადემიის ძირითადი ღირებულებების: პატივისცემის, პასუხისმგებლობისა და გამძლეობის დემონსტრირებას.

## ჯილდოები

ბრიტანულ-ქართული აკადემიის მიზანია დააფასოს აკადემიური მიღწევები, აკადემიის ძირითადი ღირებულებების დემონსტრირება და დადებითი პიროვნული თვისებები. დირექტორი, უმაღლესი ხელმღვანელობის გუნდი (SLT) და სწავლებისა და სწავლის გაფართოებული გუნდი აფასებს და აჯილდოებს იმ მოსწავლეებს, რომლებიც კარგად მუშაობენ ან ახდენენ სკოლების ძირითადი ღირებულებების: პატივისცემის, პასუხისმგებლობისა და გამძლეობის დემონსტრირებას.

| **საბაზო და საშუალო საფეხურები** |
| --- |
| სიტყვიერი შექება<br><br>ქულების მინიჭება დადებითი ქცევისთვის, რაც ასახავს ბრიტანულ-ქართული აკადემიის ძირითად ღირებულებებს.<br><br>მედლების (Edupages) მინიჭება დადებითი ქცევისთვის გაკვეთილზე და აკადემიური მუშაობისთვის. |

ბრინჯაოს, ვერცხლისა და პლატინის სერტიფიკატების მინიჭება დაგროვილი მედლებისთვის.

ქების სიგელი 100%-იანი დასწრებისთვის.

დირექტორის სერტიფიკატი სასკოლო საზოგადოებაში განსაკუთრებული წვლილის შეტანისთვის.

საგნობრივი სერტიფიკატები თითოეულ სემესტრში, რომლებიც წაახალისებს ბრიტანულ-ქართული აკადემიის ღირებულებებს, სწავლისადმი დამოკიდებულებას და განსაკუთრებულ მიღწევებს.

დადებითი ქცევის აღიარება ელექტრონული ფოსტის დადებითი შეტყობინების გაგზავნით სახლში, ასევე შეკრებებზე და დაჯილდოების ცერემონიალის დროს.

## შედეგები

ბრიტანულ-ქართულ აკადემიაში ჩვენ წავახალისებთ მოსწავლეთა თემის დამოუკიდებლობასა და თვითშეგნებას, რათა მათ გონივრული არჩევანისა და საკუთარი ქცევის რეგულირების შესაძლებლობა მივცეთ. პატივისცემის, პასუხისმგებლობისა და გამძლეობის ძირითადი ფასეულობების გადაცემა ხორციელდება ყველა სასკოლო აქტივობის ფარგლებში. ამასთან, ამ ფასეულობების აქტიური წახალისება ხორციელდება მენტორის დროის, პიროვნული განვითარებისა და კეთილდღეობის გაკვეთილებზე და შეკრებებზე.

ჩვენ ბევრს ვმუშაობთ, რათა დისციპლინა იყოს თანმიმდევრული მთელი სკოლის ფარგლებში, იმისათვის, რომ ქცევის საზღვრები და სასჯელი ყველასათვის ნათელი იყოს და გამოიყენებოდეს სამართლიანად, პროპორციულად და დისკრიმინაციის გარეშე, თითოეული მოსწავლის მისწრაფებებისა და საჭიროებების, ასევე იმ ასევე დამატებითი გამოწვევების გათვალისწინებით, რომლებიც შეიძლება შეექმნას ზოგიერთ დაუცველ მოსწავლეს. ეფექტურობის მისაღწევად ეს შედეგები უნდა განხორციელდეს დროულად.

აკადემიაში დისციპლინა უზრუნველყოფილია პრაქტიკით, რომელიც ყველა დაინტერესებული მხარის ურთიერთპატივისცემას ეფუძნება და მხარს უჭერს სკოლის საზოგადოების საერთო ფასეულობებს.

## სამი ‘C’ - არჩევანი (Choice) - ცვლილება (Change) - შედეგი (Consequence)

# არჩევანი - HOICE

# ცვლილება - C HANGE

# შედეგი - C ONSEQUENCE

**არჩევანი (CHOICE) -** მასწავლებელი განსაზღვრავს ქცევის **არჩევანს,** რომელსაც ავლენს მოსწავლე, მასწავლებელი აძლევს მოსწავლეს სიტყვიერ მითითებებს მოსალოდნელი ქცევის შესახებ.

**ცვლილება (CHANGE) -** მასწავლებელი შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეს, რათა მან **შეცვალოს** ქცევა შედეგების გარეშე. მასწავლებელი სიტყვიერად შეახსენებს მას სასურველ ქცევას. აღინიშნება დადებითი ქცევა „ცვლილების“ შემდეგ.

**შედეგი (CONSEQUENCE) -** მასწავლებელი გამოსცემს **შედეგს** და აღრიცხავს მას Edupages-ზე დოკუმენტაციის სახით ყვითელი კონვერტის გამოყენებით. - ამას უნდა მოჰყვეს საუბარი მოსწავლესთან გააზრების მიზნით. ეს შეიძლება მოხდეს გაკვეთილის ბოლოს, ან ისეთ დროს, როდესაც მოსწავლე მოდის მასწავლებელთან შესვენების, ლანჩის დროს ან დღის ბოლოს.

## საფეხურის ქცევის შედეგები

საფეხურის ქცევის შედეგები შეესაბამება შედეგების დონეების მიხედვით განაწილების სქემას, რომელიც მოცემულია A დანართში.

## საკლასო ოთახის გარეთ

მოსწავლეებს ევალებათ, რომ ნებისმიერ დროს, როგორც აკადემიაში, ასევე მის მიმდებარე ტერიტორიაზე, სკოლაში წასვლისას და სკოლიდან დაბრუნებისას მოიქცნენ უსაფრთხოდ, თავაზიანად და პატივისცემით სხვა ადამიანების მიმართ. ამ მოთხოვნების თაობაზე მოსწავლეები მკაფიო ინფორმაციას იღებენ შეკრებების, პიროვნული განვითარებისა და კეთილდღეობის (PDW) პრეზენტაციების დროს და მორიგე პერსონალისგან. სასკოლო დღის განმავლობაში ყოველთვის მოქმედებს ზედამხედველობის მაღალი დონე, რათა უზრუნველყოფილი იქნას მოსწავლეთა უსაფრთხოება და დაცულობა. ქცევასთან დაკავშირებული მოთხოვნები ასევე ვრცელდება მოსწავლეებზე, რომელებიც სასწავლო

ვიზიტით ან გრძელვადიან ექსკურსიაზე იმყოფებიან. ქცევა ბრიტანულ-ქართული აკადემიის ფარგლებს გარეთ შეიძლება დაექვემდებაროს სასჯელს, თუ ჩაითვლება, რომ იგი უარყოფითად აისახება მოსწავლეთა სასკოლო ცხოვრებაზე ან კეთილდღეობაზე.

## აკრძალული ნივთები

აკრძალული ნივთების შეტანა სკოლის შენობაში გამოიწვევს ამ ნივთების დაუყოვნებლივ კონფისკაციას და შეიძლება გამოიწვიოს შესაბამისი შედეგი, ნივთის ხასიათიდან გამომდინარე. თანამშრომლებს უფლება აქვთ ჩამოართვან ნებისმიერი აღმოჩენილი აკრძალული ნივთი. მათ ასევე შეუძლიათ იმ ყველაფრის კონფისკაცია, რასაც საზიანოდ, სწავლებისა და სწავლისთვის ხელის შემშლელად ან ბრიტანულ-ქართული აკადემიის უსაფრთხოებისთვის სახიფათოდ მიიჩნევენ. ჩამორთმეული ნივთები შეინახება მშობლისთვის/აღმზრდელისთვის გადასაცემად, თუმცა ნებისმიერი უკანონო ნივთის განკარგვა მოხდება შესაბამისი მეთოდებით.

## შიდა და გარე განრიდება

ეს სერიოზული უკუკავშირია, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება მოსწავლის ჩვეულებრივი საგაკვეთილო პროცესიდან მოწყვეტა და მას ან ტოვებენ უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრისა და მოსწავლეთა მხარდამჭერი გუნდის მეთვალყურეობის ქვეშ (შიდა განრიდება) ან სთხოვენ შინ დარჩენას (გარე განრიდება). აღნიშნული სასჯელი ყურადღებას ამახვილებს გააზრებისა და აღდგენითი აქტივობების ფართო მიზანზე ბრიტანულ-ქართული აკადემიის მოთხოვნების სისტემატური შეუსრულებლობის ან სერიოზული ინციდენტის შემდეგ. შიდა/გარე განრიდების შემდეგ, ნორმალურ საგაკვეთილო პროცესში დაბრუნებამდე, მოსწავლესთან ტარდება რეინტეგრაციის შეხვედრა, მშობლების/მზრუნველების, საფეხურის კოორდინატორის ან/და დირექტორის მოადგილის მონაწილეობით. ქცევის დარღვევასთან დაკავშირებით სრულდება განრიდების დავალება და კლასში რეინტეგრაციის წინ მოსწავლე საუბრობს იმის შესახებ, თუ რა გაიაზრა და ისწავლა. რეინტეგრაციის თითოეულ შემთხვევაში განიხილება მრჩევლის (საფეხურის ხელმძღვანელი, მენტორი, ფსიქოლოგი) ჩართულობის შესაძლებლობა.

**სანქციები ქცევის წესების დარღვევის გამო გაკვეთილიდან გამოსვლისა და დაგვიანებების შემთხვევების შემცირების მიზნით:**

**ქცევის წესების დარღვევის გამო გაკვეთილიდან მოსწავლის პასტორალურ ოფისში გაშვება:**

1. თუ მოსწავლე ერთი კვირის განმავლობაში ქცევის წესების დარღვევის გამო 3-ჯერ იქნება გამოშვებული გაკვეთილიდან პასტორალურ ოფისში, მომდევნო კვირაში შეეხება ერთდღიანი შიდა განრიდება.

2. მსგავსი შემთხვევის 3-ჯერ გამეორების შემთხვევაში, ანუ 3-ჯერ შიდა განრიდების შემდეგ, ქცევის წესების დარღვევის შემთხვევაში მოსწავლეს შეეხება 3 - 5 დღიანი გარე განრიდება. მსგავსი შემთხვევის განმეორების შემთხვევაში 5 დღით ( შესაძლებელია პირდაპირ 5 დღით გარე განრიდებაც).

**დაგვიანებები:**

1. ერთი კვირის განმავლობაში გაკვეთილებზე 3-4 დაგვიანების შემთხვევა (დილის გარეშე) - 20 წუთის დაკავება ლანჩის პერიოდიდან.

2 ერთი კვირის განმავლობაში გაკვეთილებზე 5 - 9 დაგვიანების შემთხვევა - 30 წუთის დაკავება ლანჩის პერიოდიდან.

3. ერთი კვირის განმავლობაში გაკვეთილებზე 10-15 დაგვიანების შემთხვევა - გაკვეთილების შემდეგ 1 საათით დატოვება.

4. ერთი კვირის განმავლობაში გაკვეთილებზე 15-ზე მეტი დაგვიანების შემთხვევა - 1 დღე შიდა გარიცხვა.

## ანგარიში მოსწავლეთა ქცევის შესახებ

| **საფეხური** | **ანგარიში** | **ჩარევა** | **გამწვავება** |
|---|---|---|---|
| **პირველი საფეხური:**<br><br>**მასწავლებელი/ მენტორი** | • მენტორები იყენებენ ქცევის მონაცემებს იმ მოსწავლეთა გამოსავლენად, რომლებიც სისტემატურად იქცევიან ცუდად. მათ ევალებათ ინფორმაციის მიწოდება საფეხურის კოორდინატორისთვის, რომელიც | • მოსწავლესთან ერთად შესაბამისი მიზნების შემუშავება.<br><br>• მოსწავლესთან, მშობლებთან და, საჭიროების შემთხვევაში, თანამშრომლებთან კომუნიკაცია.<br><br>• ოჯახთან | • ანგარიში წარუმატებელია იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლემ მიიღო ერთზე მეტი უარყოფითი შენიშვნა „ვერ შეასრულა“ ან/და თუ მოსწავლეს აქვს ერთზე მეტი მიმართვა მოსწავლეთა მხარდამჭერ ოფისში. |

| | | | |
|---|---|---|---|
| | მონიტორინგს უწევს მენტორების მიერ ქცევის ანგარიშში შეყვანილ მოსწავლეებს.<br><br>● 1-ელი საფეხურის (მენტორის) ანგარიშში შეყვანა 2 კვირის განმავლობაში | რეგულარული მხარდამჭერი კომუნიკაციის დამყარება და შენარჩუნება. | ● საჭიროა დაკავშირება მშობელთან |
| **მეორე საფეხური: საფეხურის კოორდინატორი** | ● თუ მოსწავლე არ გამოასწორებს 1-ელი საფეხურის ანგარიშს, მე-2 საფეხურის (საფეხურის კოორდინატორის) ანგარიშში შეყვანა 3 კვირის განმავლობაში | ● პროგრესის მონიტორინგი მასწავლებლის ანგარიშზე შენიშვნების საშუალებით.<br><br>● საჭიროების შემთხვევაში, საფეხურის კოორდინატორი სთხოვს მენტორს მიმართვას ფსიქოლოგების ჯგუფისთვის.<br><br>● სკოლის ფსიქოლოგები რეკომენდაციას უწევენ ჩარევის შესაბამის სტრატეგიებს. | ● ანგარიში წარუმატებელია იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლემ მიიღო ერთზე მეტი უარყოფითი შენიშვნა „ვერ შეასრულა“ ან/და თუ მოსწავლეს აქვს ერთზე მეტი მიმართვა მოსწავლეთა მხარდამჭერ ოფისში.<br><br>● უნდა შედგეს შეხვედრა მშობელთან |
| **მესამე საფეხური:**<br><br>**დირექტორის მოადგილე ყოფა-ქცევის მიმართულებით** | ● თუ მოსწავლე არ გამოასწორებს მე-2 საფეხურის ანგარიშს, მე-3 საფეხურის (ყოფა-ქცევის საკითხებში დირექტორის მოადგილის მიმართ) ანგარიშში შეყვანა 4 კვირის განმავლობაში | ● სათანადო შიდა ან/და გარე მხარდაჭერის პრიორიტეტულად განსაზღვრა.<br><br>● დირექტორის მოადგილე სიახლეების შესახებ ინფორმაციას აწვდის საფეხურის კოორდინატორს, მენტორსა და მშობლებს. | ● ანგარიში წარუმატებელია იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლემ მიიღო ერთზე მეტი უარყოფითი შენიშვნა „ვერ შეასრულა“ ან/და თუ მოსწავლეს აქვს მიმართვა მოსწავლეთა მხარდამჭერ ოფისში.<br><br>● მშობელთან დაკავშირება |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | განხორციელდა 3 შემთხვევაში. ყველა კომუნიკაცია უნდა მოხდეს პირისპირ. |
| **მეოთხე საფეხური:**<br><br>**დირექტორი** | • დირექტორის მოადგილის ანგარიშის გამოუსწორებლობის შემთხვევაში, მე-4 საფეხურის ანგარიშში შეყვანა (რომელსაც მონიტორინგს უწევს დირექტორი) 4 კვირის განმავლობაში | • ჩარევები მე-3 საფეხურის შესაბამისად | • ანგარიში წარუმატებელია იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლემ მიიღო ერთზე მეტი უარყოფითი შენიშვნა „ვერ შეასრულა“ ან/და თუ მოსწავლეს აქვს მიმართვა მოსწავლეთა მხარდამჭერ ოფისში.<br><br>• მართული გადაყვანა სხვა სკოლაში.<br><br>• შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სკოლიდან მუდმივი გარიცხვა |

**დისციპლინური კომიტეტი**

**დისციპლინური კომიტეტი** იქმნება თითოეული კონკრეტული შემთხვევისთვის, რათა ბრიტანულ-ქართულ აკადემიაში დისციპლინური საკითხების განხილვა მოხდეს სამართლიანად, თანმიმდევრულად და კეთილსინდისიერად. კომიტეტი ხელს უწყობს ქცევის საკითხების გადაჭრას და აღდგენითი მართლმსაჯულების ღონისძიებების წარმართვას.

კომიტეტი იქმნება მხოლოდ მძიმე დარღვევების შემთხვევაში (მათ შორის განმეორებით დარღვევებთან დაკავშირებით), კომპლექსურ საქმეებზე ან როდესაც გონივრულად არის დასაბუთებული, რომ კონკრეტული საქმე კომიტეტის მიერ უნდა განისაზღვროს.

**შემადგენლობა:**

· კომიტეტში უნდა იყოს 5 წევრი

· დირექტორი ირჩევს კომიტეტის წევრებს თითოეული კონკრეტული შემთხვევისთვის, საქმის სირთულიდან ან/და იქიდან გამომდინარე, თუ რომელი წევრია საჭირო, ან

ყველაზე შესაფერისი კონკრეტული შემთხვევისთვის.

- დისციპლინური კომიტეტის წევრი არ შეიძლება შეირჩეს ზედიზედ ორზე მეტი საქმისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი ცოდნა და გამოცდილება მოცემული საქმისთვის შეუცვლელად მიიჩნევა და მისი ჩანაცვლება შეუძლებელია გონივრულ ფარგლებში. ასეთ შემთხვევებში, დირექტორს შეუძლია ხელახლა დანიშნოს წევრი დამატებითი საქმისათვის.
- კომიტეტის კვორუმი დგება, თუ მას ესწრება ხუთივე არჩეული წევრი.
- კომიტეტი გადაწყვეტილებებს იღებს სრული შემადგენლობის უმრავლესობით.
- კომიტეტის წევრების როტაცია დამოკიდებულია თითოეული დისციპლინური საქმის ტიპზე.

## სასკოლო ფორმა

ბრიტანულ-ქართული აკადემიის ყველა მოსწავლე ყოველდღიურად უნდა გამოცხადდეს სასკოლო ფორმით. ამასთან, მოსწავლე ვალდებულია, რომ სასკოლო ფორმა იყოს სრული, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი სპორტული ფორმა. ბრიტანულ-ქართული აკადემიის ფორმა სიმბოლურად განასახიერებს ჩვენს ყველა ძირითად ფასეულობას. იგი აძლიერებს სკოლის სიამაყის, ერთიანობისა და სკოლის საზოგადოებისადმი კუთვნილების განცდას.

ფორმა მოწმდება ყოველდღიურად, როდესაც მოსწავლეები შედიან სკოლის ტერიტორიაზე. მოსწავლეები, რომლებიც  არასათანადო ფორმით ცხადდებიან, იგზავნებიან მოსწავლეთა მხარდამჭერ ოფისში ფორმის ნაკლოვანებების გამოსასწორებლად.

მენტორები/მასწავლებლები აკონტროლებენ ფორმას მთელი დღის განმავლობაში. მოსწავლეები, რომლებიც ატარებენ არასათანადო ფორმას, იგზავნებიან მოსწავლეთა მხარდამჭერ ოფისში ფორმის ნაკლოვანებების გამოსასწორებლად.

მოსწავლეთა მხარდამჭერი გუნდი დაუკავშირდება ოჯახს და ითხოვს მოსწავლისთვის სათანადო ფორმის მიწოდებას. მოსწავლე ვერ დატოვებს მოსწავლეთა მხარდამჭერ ოფისს მანამ, სანამ ფორმის საკითხი არ გადაწყდება.

## ჩხუბზე რეაგირების პროცედურები

1. განაცალკევეთ მოსწავლეები.
2. მოსწავლის (მოსწავლეების) დაშავების შემთხვევაში გამოიძახეთ სამედიცინო დახმარება.
3. აცნობეთ საფეხურის კოორდინატორს, რომელიც ხელმძღვანელობს გამოძიებას.

4. აღრიცხეთ ინციდენტი ყოფაქცევასთან დაკავშირებული სერიოზული შემთხვევების ცხრილში. გამოძიების პროცესში საფეხურის კოორდინატორმა უნდა გააგრძელოს ცხრილისა და ელექტრონული ფოსტის მიმოწერის განახლება.
5. გამოკითხეთ ინციდენტში მონაწილე მოსწავლეები და ჩაიწერეთ შენიშვნები.
6. წაუკითხეთ ჩაწერილი შენიშვნები გამოკითხულ მოსწავლეს და მიეცით შესაძლებლობა დაამატოს ნებისმიერი დამატებითი ინფორმაცია. ამის ნაცვლად, მოსწავლეს შეუძლია აირჩიოს განცხადების დაწერა.
7. იკითხეთ, ხომ არ შეესწრო ჩხუბს რომელიმე თანამშრომელი და შეაგროვეთ მათი განცხადებები.
8. დაუკავშირდით მშობლებს და სთხოვეთ წაიყვანონ მათი ვაჟი/ქალიშვილი.
9. დარწმუნდით, რომ მიაწოდეთ ინფორმაცია დირექტორის მოადგილეს ყოფაქცევის საკითხებში.
10. თუ მოსწავლეები მშვიდად არიან, გამართეთ შეხვედრა მათ შორის შემთხვევის გაანალიზებისა და შერიგების მიზნით. ისინი გაკვეთილებს უნდა დაუბრუნდნენ მხოლოდ შედეგების დასრულებისა და მშობლებთან შეხვედრის ჩატარების შემდეგ, თუ უფროსი თანამშრომელი სხვაგვარად არ გადაწყვეტს.
11. შესთავაზეთ შესაბამისი უკუკავშირის ზომა (ზომები) ყოფაქცევასთან დაკავშირებული სერიოზული შემთხვევების ცხრილში არსებული მიგნებების შესაბამისად. დაელოდეთ უმაღლესი ხელმძღვანელობის გუნდის დასტურს.

## ბულინგის ინციდენტზე რეაგირების პროცედურები (მათ შორის შეურაცხმყოფელი გამოთქმების გამოყენება)

1. თუ შესაძლებელია, ჩამოართვით ჩვენება ორივე მხარეს და მოწმეებს. განცხადების წერისას შეამოწმეთ, ხომ არ სჭირდება მოსწავლეს (მოსწავლეებს) დახმარება. სათანადოდ გადაამოწმეთ განცხადება, რათა ნახოთ, ხომ არ გამორჩა მოსწავლეს მნიშვნელოვანი ინფორმაცია. ყურადღება მიაქციეთ ნებისმიერი ისეთი საკითხის გამჟღავნებას წერილობითი ფორმით, რომელიც არ იქნა ნახსენები საუბრის დროს, რათა ამის გამოძიებაც მოხდეს.
2. ინციდენტის შესახებ ელექტრონული ფოსტით აცნობეთ საფეხურის კოორდინატორს. საფეხურის კოორდინატორი ამატებს ინციდენტს ყოფაქცევასთან დაკავშირებული სერიოზული შემთხვევების ცხრილში. გამოძიების პროცესში საფეხურის კოორდინატორმა უნდა გააგრძელოს ცხრილისა და ელფოსტის მიმოწერის განახლება.
3. მისწერეთ მენტორებს ელექტრონული ფოსტით და სთხოვეთ „ბრალის დაკისრების გარეშე“ შეხვედრის (NBM) ორგანიზება. გთხოვთ, ასლი გადაუგზავნოთ დირექტორის

მოადგილეს ყოფაქცევის საკითხებში და შესაბამისი საფეხურის კოორდინატორს. საფეხურის კოორდინატორებმა, რაც შეიძლება მალე, უნდა აცნობონ მშობლებს და აღრიცხონ ყველა შენიშვნა ყოფაქცევასთან დაკავშირებული სერიოზული შემთხვევების ცხრილში.

4. დირექტორის მოადგილე ყოფაქცევის საკითხებში და შესაბამისი საფეხურის კოორდინატორი შეამოწმებენ, რომ ყველა მენტორმა განახორციელა შეხვედრა „ბრალის დაკისრების გარეშე“ და მშობლებს/მზრუნველებს მიაწოდებენ განახლებულ ინფორმაციას.

5. სერიოზული ინციდენტის შემთხვევაში ან/და თუ ბავშვის უსაფრთხოებას საფრთხე ემუქრება, **დაუყოვნებლივ** პირადად შეხვდით უმაღლესი ხელმძღვანელობის გუნდის წევრს და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირს (DSL), რომელიც დაუკავშირდება ოჯახს და სთხოვს მშობლებს წაიყვანონ მოსწავლე სასწავლო დღის ბოლოს, მშობელთა შეხვედრის შემდეგ, რომლის ფარგლებშიც მშობელს განემარტება ვითარება.

6. თუ საკითხი მოიცავს სოციალურ მედიას, გთხოვთ, მიაცილოთ მოსწავლე საფეხურის კოორდინატორთან, რომელიც დაეხმარება მტკიცებულებების ელექტრონული ფოსტით გაგზავნაში დირექტორის მოადგილესთან ყოფაქცევის საკითხებში, რათა შესაბამისი ინფორმაცია მიაწოდონ მშობლებს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირთან (DSL) მშობელთა შეხვედრის ფარგლებში.

7. საჭიროების შემთხვევაში, შესთავაზეთ შედეგი (შედეგები) ყოფაქცევის ცხრილის მონაცემების საფუძველზე. დაელოდეთ უმაღლესი ხელმძღვანელობის გუნდის დასტურს.

8. აუცილებელია მოსწავლეებისთვის ჩვენების ცალ-ცალკე ჩამორთმევა, რათა საფრთხე არ შეექმნას გამოძიების ობიექტურობას. ჩვენება სავარაუდო მოძალადემდე ჯერ მსხვერპლს უნდა ჩამოართვათ.

9. ვიდეოთვალის სისტემის მასალაზე წვდომაზე თანხმობის გაცემის უფლებამოსილება მხოლოდ ყოფაქცევის საკითხებში დირექტორის მოადგილეს ან დირექტორს აქვს.

10. სერიოზული ბრალდების შემთხვევაში, მოსწავლე რჩება მოსწავლეთა მხარდამჭერ ოფისში გამოძიების მიმდინარეობისას, თუ არ არსებობს ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პრობლემა, რა შემთხვევაშიც მოსწავლე მიჰყავთ მშობლებს.

## ბავშვებს შორის მომხდარი ძალადობის ბრალდებაზე რეაგირების პროცედურები

1. პირველ რიგში, აცნობეთ უსაფრთხოების გუნდს. უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი (DSL) გამოყოფს შესაბამის თანამშრომელს ინციდენტის შესასწავლად.

2. თუ ეს შესაძლებელია, ჩამოართვით ჩვენება ორივე მხარეს და მოწმეებს. განცხადების წერისას შეამოწმეთ, ხომ არ სჭირდება მოსწავლეს (მოსწავლეებს) დახმარება. ყურადღებით

წაიკითხეთ განცხადება, რათა ნახოთ, ხომ არ გამორჩა მოსწავლეს მნიშვნელოვანი ინფორმაცია.

3. დაამატეთ ინციდენტი ყოფაქცევასთან დაკავშირებული სერიოზული შემთხვევების ცხრილში. გამოძიების პროცესში საფეხურის კოორდინატორმა უნდა გააგრძელოს ცხრილისა და ელექტრონული ფოსტის მიმოწერის განახლება.

4. სერიოზული ინციდენტის შემთხვევაში ან/და თუ ბავშვის უსაფრთხოებას საფრთხე ემუქრება, **დაუყოვნებლივ** პირადად შეხვდით უმაღლესი ხელმძღვანელობის გუნდის წევრს და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირს (DSL), რომელიც დაუკავშირდება ოჯახს და სთხოვს მშობლებს წაიყვანონ მოსწავლე სასწავლო დღის ბოლოს, მშობელთა შეხვედრის შემდეგ, რომლის ფარგლებშიც მშობელს განემარტება ვითარება

5. თუ საკითხი მოიცავს სოციალურ მედიას, გთხოვთ, მიაცილოთ მოსწავლე საფეხურის კოორდინატორთან, რომელიც დაეხმარება მტკიცებულებების ელექტრონული ფოსტით გაგზავნაში დირექტორის მოადგილესთან ყოფაქცევის საკითხებში, რათა შესაბამისი ინფორმაცია მიაწოდონ მშობლებს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირთან (DSL) მშობელთა შეხვედრის ფარგლებში.

6. საჭიროების შემთხვევაში, შესთავაზეთ შედეგი (შედეგები) ყოფაქცევის ცხრილის მონაცემების საფუძველზე. დაელოდეთ უმაღლესი ხელმძღვანელობის გუნდის დასტურს.

7. აუცილებელია მოსწავლეებისთვის ჩვენების ცალ-ცალკე ჩამორთმევა, რათა საფრთხე არ შეექმნას გამოძიების ობიექტურობას. ჩვენება სავარაუდო მოძალადემდე ჯერ მსხვერპლს უნდა ჩამოართვათ.

8. ვიდეოთვალის სისტემის მასალაზე წვდომაზე თანხმობის გაცემის უფლებამოსილება მხოლოდ ყოფაქცევის საკითხებში დირექტორის მოადგილეს ან დირექტორს აქვს.

9. სერიოზული ბრალდების შემთხვევაში, მოსწავლე რჩება მოსწავლეთა მხარდამჭერ ოფისში გამოძიების მიმდინარეობისას, თუ არ არსებობს ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პრობლემა, რა შემთხვევაშიც მოსწავლეს წაიყვანენ მშობლები.

## ინტიმური ხასიათის ფოტოების გაზიარებაზე („სექსტინგი“) რეაგირება

1. არ ნახოთ არცერთი მოწყობილობა და არ დაიწყოთ გამოძიება. თანამშრომლებმა, პირველ რიგში, უნდა აცნობონ უსაფრთხოების გუნდს. უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი (DSL) გამოყოფს შესაბამის თანამშრომელს ინციდენტის შესასწავლად.

2. როგორც კი უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირს (DSL) პირადად მოახსენებთ ამ საკითხთან დაკავშირებით, გთხოვთ, შეავსოთ მიმართვა უსაფრთხოების ზომების შესახებ („ჩემი შეშფოთება“).

3. თუ ეს შესაძლებელია, ჩამოართვით ჩვენება ორივე მხარეს და მოწმეებს. განცხადების წერისას შეამოწმეთ, ხომ არ სჭირდება მოსწავლეს (მოსწავლეებს) დახმარება. ყურადღებით წაიკითხეთ განცხადება, რათა ნახოთ ხომ არ გამორჩა მოსწავლეს მნიშვნელოვანი ინფორმაცია.

4. აუცილებელია მოსწავლეებისთვის ჩვენების ცალ-ცალკე ჩამორთმევა, რათა საფრთხე არ შეექმნას გამოძიების ობიექტურობას. ჩვენება სავარაუდო მოძალადემდე ჯერ მსხვერპლს უნდა ჩამოართვათ.

5. მშობლები/მზრუნველები უნდა გამოიძახონ ორივე მხარის მიმართ გაკეთებულ ბრალდებებთან დაკავშირებით. შეხვედრები ჩატარდება ცალ-ცალკე და მასში ჩაერთვება თანამშრომელი, რომელიც ხელმძღვანელობს გამოძიებას, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი (DSL) და გარე უწყებები (საჭიროების შემთხვევაში).

6. ინციდენტში მონაწილე ორივე მოსწავლის მშობლებს აცნობენ შემდგომ ნაბიჯებს, რადგან საკითხში შესაძლებელია ჩაერთოს პოლიცია, თუ ერთ-ერთ მხარეს სურს განაცხადოს დანაშაულის შესახებ.

7. თანამშრომელი, რომელიც ხელმძღვანელობს გამოძიებას, წერს განხორციელებული ქმედებების შესახებ და შეაქვს აღნიშნული ინფორმაცია ყოფაქცევასთან დაკავშირებული სერიოზული შემთხვევების ცხრილში.

8. შესთავაზეთ შესაბამისი უკუკავშირის ზომა (ზომები) ყოფაქცევასთან დაკავშირებული სერიოზული შემთხვევების ცხრილში არსებული მონაცემების შესაბამისად. დაელოდეთ უმაღლესი ხელმძღვანელობის გუნდის დასტურს.

9. სექსუალური ან სექსისტური ხასიათის ინციდენტებთან დაკავშირებული ყოველგვარი შედეგი აღირიცხება მკაცრად კონფიდენციალურ დოკუმენტში გამოძიების დასრულების შემდეგ. „ჩემი შეშფოთება“ განახლდება და დაიხურება.

10. ამის შემდეგ, თანამშრომელი, რომელიც ხელმძღვანელობს გამოძიებას, დაასრულებს რისკების შეფასებას ორივე მხარისთვის და მონიტორინგს გაუწევს ორივე მოსწავლეს.

## უკუნტაქტო ზედაპირული დათვალიერების უფლება

გამოძიების მიმდინარეობისას, ან თუ არსებობს გონივრული საფუძველი, მოსწავლე შეიძლება დაექვემდებაროს დათვალიერებას. დათვალიერებას ყოველთვის წარმართავს ორი უფროსი თანამშრომელი (იმავე სქესის, რომლსაც მიეკუთვნება მოსწავლე), რომელიც უფლებამოსილია დირექტორის ან დირექტორის მოადგილის/უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ, ერთი მოწმის სახით როგორც მოსწავლეების, ასევე თანამშრომლისთვის, ხოლო მეორე ახორციელებს

დათვალიერებას. დათვალიერება ტარდება პრივატულ საოფისე სივრცეში და ითვალისწინებს მოსწავლის მიერ ჯიბეების, ფეხსაცმლების, ჩანთისა და საკეტიანი კარადის შიგთავსის დაცლას. დათვალიერების განხორციელების შემთხვევაში, ინფორმაცია მიეწოდებათ მშობლებს/მზრუნველებს ვითარების ასახსნელად, იმის მიუხედავად, მოხდება თუ არა რაიმეს აღმოჩენა.

დათვალიერების  დაწყებამდე უფლებამოსილი თანამშრომელი:

- აფასებს არსებობს თუ არა დათვალიერების გადაუდებელი აუცილებლობა;
- აფასებს დათვალიერების ჩატარება ხომ არ დააყენებს რისკის წინაშე სხვა მოსწავლეებს ან თანამშრომლებს;
- განიხილავს ხომ არ დააყენებს დათვალიერება უსაფრთხოების რისკის წინაშე მოსწავლეს;
- განუმარტავს მოსწავლეს, თუ რატომ ხორციელდება მისი დათვალიერება;
- განუმარტავს მოსწავლეს, თუ რას ითვალისწინებს დათვალიერება;
- განმარტავს, თუ სად და როგორ განხორციელდება დათვალიერება;
- აძლევს მოსწავლეს კითხვების დასმის შესაძლებლობას;
- შეეცდება მიაღწიოს თანამშრომლობას მოსწავლის მხრიდან;

სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით დასაშვებია უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების განხორციელება, რომლის მიზანია საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის, ხოლო მისი არარსებობის შემთხვევაში – სკოლის დირექტორის მიერ განსაზღვრული საამისოდ უფლებამოსილი პირის მიერ საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული ნივთის, მოსწავლის მიერ სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენის იარაღის აღმოჩენა, იმ საგნის აღმოჩენა, რომელსაც სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენის კვალი ატყვია, სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენით მოპოვებული ნივთისა და ფასეულობის, აგრეთვე, იმ საგნისა და დოკუმენტის აღმოჩენა, რომლებიც საჭიროა სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენის გარემოებათა გასარკვევად.

უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების განხორციელება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც გარემოებები მიუთითებს მოსწავლის მიერ სკოლის შინაგანაწესის შესაძლო დარღვევაზე ან/და შესაძლო სამართალდარღვევის ჩადენაზე და არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისათვის, რომ უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების შედეგად გამოვლინდება სკოლის შინაგანაწესით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომა ან/და შესაძლო სამართალდარღვევა.

უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების განხორციელების უფლება აქვს იმავე სქესის საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურს/ორ უფროს თანამშრომელს ან სკოლის დირექტორის მიერ განსაზღვრულ იმავე სქესის საამისოდ უფლებამოსილ პირს. დათვალიერება უნდა განახორციელოს ორმა უფლებამოსილმა თანამშრომელმა.

მოსწავლის/მოსწავლეების საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, დასაშვებია განხორციელდეს მოსწავლის/მოსწავლეების განცალკევება ემოციურად და ფიზიკურად უსაფრთხო გარემოში, სკოლის დირექტორის მიერ განსაზღვრული საამისოდ უფლებამოსილი პირის თანდასწრებით, იმ შემთხვევაში, როდესაც მოსწავლის/მოსწავლეების ქმედებით საფრთხე ემუქრება პირის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას ან მოსწავლე უარს აცხადებს უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე და ამ თავში გათვალისწინებული ნივთის აღმოჩენა სხვაგვარად შეუძლებელია ან მოსწავლე უარს აცხადებს უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების განხორციელებისას აღმოჩენილი ამ თავში გათვალისწინებული ნივთის საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურისათვის/სკოლის დირექტორის მიერ განსაზღვრული საამისოდ უფლებამოსილი პირისათვის გადაცემაზე.

მოსწავლის განცალკევების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მოსწავლის მშობელს, ხოლო მოსწავლის მიერ შესაძლო სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში – სამართალდამცავ ორგანოს.

მოსწავლის განცალკევების უფლება აქვს საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურს, ხოლო მისი არარსებობის შემთხვევაში – სკოლის დირექტორის მიერ განსაზღვრულ საამისოდ უფლებამოსილ პირს.

ნებისმიერი საკითხი, რომელიც დაკავშირებულია უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებასთან და რომელიც არ არის განხილული წინამდებარე კოდექსში, რეგულირდება საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობით.

სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა ხდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების შესაბამისად. ამ წესითა და პირობებით რეგულირდება შემდეგი საკითხები:

ა) სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით სკოლის, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურისა და სხვა პირების მიერ განსახორციელებელი მოქმედებები;

ბ) სკოლის ვიდეოთვალთვალის სისტემით აღჭურვისა და ადმინისტრირების წესი;

გ) სკოლაში გამოვლენილი დარღვევების ელექტრონული საინფორმაციო ბაზის წარმოების წესი;

დ) უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების განხორციელების წესი;

ე) მოსწავლის განცალკევების განხორციელების წესი და მისი განცალკევების შემდეგ სკოლის, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის ან/და ფსიქოლოგის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები;

ვ) უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების, მოსწავლის განცალკევების და საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის მიერ ფიზიკური ძალის გამოყენების შესახებ ოქმის ფორმა და შედგენის წესი;

ზ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მიერ სკოლებისათვის უსაფრთხოების საკითხებზე რეკომენდაციების მიცემის წესი, აგრეთვე ამ რეკომენდაციებთან დაკავშირებით სკოლების მიერ განხორციელებული მოქმედებების შესახებ უკუკავშირის წესი;

თ) საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის ეთიკა;

ი) საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის მიერ მეტალოდეტექტორის გამოყენების წესი;

კ) საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურების სკოლებში განაწილებისა და როტაციის წესი;

ლ) საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურობის კანდიდატის შერჩევის წესი;

მ) სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

დისციპლინა:

დისციპლინური გადაცდომა – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შინაგანაწესით განსაზღვრული წესების დარღვევა;

დისციპლინური დევნა – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ჩატარებულ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელთა მიზანია მოსწავლის ან მასწავლებლის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის გამოვლენა;

დისციპლინური სახდელი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შინაგანაწესით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომისათვის გათვალისწინებული ზემოქმედების ზომა;

სკოლა ვალდებულია მიიღოს ყველა გონივრული ზომა მოსწავლის ცოდნის სამართლიანი შეფასების უზრუნველსაყოფად. მოსწავლის აკადემიურ შეფასებაზე გავლენა არ უნდა მოახდინოს მისმა ქცევამ ან დისციპლინამ.

მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაცია დისციპლინური მონაცემებისგან განცალკევებით უნდა ინახებოდეს.

დისციპლინური საკითხების მართვა:

1. სასკოლო დისციპლინა დაცულ უნდა იქნეს იმ მეთოდების მეშვეობით, რომლებიც ეფუძნება მოსწავლის თავისუფლებისა და ღირსების პატივისცემას.

2. სკოლის შინაგანაწესით ან წინამდებარე კოდექსით დადგენილი მოთხოვნები, დისციპლინური დევნა და სახდელი არის გონივრული, დასაბუთებული და თანაზომადი.

3. დისციპლინური დევნა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ წინამდებარე კოდექსით ან/და სკოლის შინაგანაწესით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, ჯეროვანი და სამართლიანი პროცედურით.

4. დისციპლინური დევნისას სკოლა ვალდებულია განუმარტოს მოსწავლეს მის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის არსი.

5. მოსწავლის მიმართ დისციპლინური სახდელის გამოყენების, აგრეთვე დისციპლინური დევნის დაწყების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მის მშობელს. მოსწავლეს უფლება აქვს მასთან დაკავშირებული საკითხის გადაწყვეტისას მშობელთან ერთად წარდგეს.

6. სკოლა ვალდებულია მიიღოს ზომები, რათა დისციპლინურმა სახდელმა არ გამოიწვიოს მოსწავლის არსებითი ჩამორჩენა სასწავლო პროცესისგან.

7. დაუშვებელია სასტიკი ან ისეთი დისციპლინური სახდელის გამოყენება, რომელიც ლახავს პირის პატივსა და ღირსებას.

8. დაუშვებელია სკოლის მიერ მოსწავლის დისციპლინური დევნა იმ ქმედებისთვის, რომელიც მან სასკოლო დროისგან თავისუფალ დროს ან სკოლის ტერიტორიის გარეთ ჩაიდინა, თუ არ მიჩნევა, რომ აღნიშნული ქმედებები გავლენას ახდენს მოსწავლის უნარზე ჩაერთოს სასკოლო ცხოვრებაში ან გავლენას ახდენს სკოლის რომელიმე მოსწავლის სწავლაზე ან უსაფრთხოებაზე.

9. მოსწავლეს უფლება აქვს დისციპლინური დევნისას ისარგებლოს დუმილის უფლებით. დუმილის უფლება არ ათავისუფლებს მოსწავლეს დისციპლინური პასუხისმგებლობისაგან.

10. მასწავლებელს უფლება აქვს გაუშვას მოსწავლე გაკვეთილიდან თუ მიიჩნევა, რომ მისი ქცევა უარყოფითად აისახება სხვების სწავლაზე და ჩარევის ყველა სხვა ფორმა უკვე გამოყენებულია სკოლის ქცევის პოლიტიკის შესაბამისად.

11. სკოლის დირექტორს აქვს მოსწავლის სკოლიდან 5 დღემდე ვადით დათხოვნის გადაწყვეტილების მიღების უფლება, ხოლო დისციპლინურ კომიტეტს, ფარული კენჭისყრით, - 5-10 დღემდე ვადით დათხოვნის ან სკოლიდან გარიცხვის გადაწყვეტილების მიღების უფლება.

12. მოსწავლისთვის სკოლისათვის სასარგებლო საქმიანობის დაკისრებისას უნდა განისაზღვროს: სასარგებლო საქმიანობის შინაარსი, მისი განხორციელების წესი, და პირობები.

## ნაწილი 3: აღრიცხვა და დოკუმენტირება

### ქცევის აღრიცხვა

დადებითი და უარყოფითი ქცევა გაკვეთილის დროს აღირიცხება Edupages-ზე იმ სიმბოლოების გამოყენებით, რომლებიც აღწერილია Edupages-ის ქცევის სახელმძღვანელოში (იხ. დანართი D). ეს ასევე წარმოადგენს პირდაპირ კომუნიკაციას მშობლებთან/მეურვეებთან: კერძოდ, Edupages-ის შეტყობინებები ავტომატურად ეგზავნება მშობლებს/მზრუნველებს.

სერიოზული ინციდენტები აღირიცხება ბრიტანულ-ქართული აკადემიის ყოფა-ქცევასთან დაკავშირებული სერიოზული ინციდენტების ბაზაში, რომელიც ინახება ორგანიზაციაში, სკოლის საერთო დისკზე.

### უსაფრთხოების საკითხების წამოჭრა

სკოლის ნებისმიერმა თანამშრომელმა უნდა წამოჭრას უსაფრთხოების საკითხი, როდესაც იგი ამას ხედავს ან თუ მოსწავლე აცხადებს ამის შესახებ. ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი (DSL) ყველა თანამშრომელს უზიარებს ოფიციალურ დოკუმენტს (Safeguarding Issue Reporting Form - უსაფრთხოების საკითხის ანგარიშგების ფორმა), რომელშიც მათ შეუძლიათ ჩაწერონ დეტალები საქმის შესახებ. უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი (DSL) ყოველ წელს ქმნის ახალ უსაფრთხოების საქაღალდეს, რომელშიც ინახავს თანამშრომლების მიერ გაგზავნილ ყველა ანგარიშს. პერიოდული უსაფრთხოების სწავლების გარდა, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი (DSL) ამზადებს უსაფრთხოების პროცესის სქემას, რომელიც ნათლად განმარტავს უსაფრთხოების საკითხების პროცედურებსა და ნაბიჯებს და ამ სქემას ასევე უზიარებს სკოლის საზოგადოებას.

### დანართი B – აკრძალული ნივთები

ქვემოთ მოცემული ნივთები აკრძალულია ბრიტანულ-ქართული აკადემიის შენობაში და ბრიტანულ-ქართული აკადემიის სასწავლო ვიზიტების ფარგლებში.

ამ ნივთების ფლობა გამოიწვევს მათ ჩამორთმევას და შენახვას აკადემიის მიერ. მშობლებს მოუწევთ ნივთის გამოტანა მოსწავლის ნაცვლად. მალფუჭებადი საქონელი გადაიყრება.

**აკრძალული ნივთები**

- საღეჭი რეზინი;
- ენერგეტიკული/შუშხუნა/სასმელები, ყავა;
- სწრაფი კვების პროდუქტები;
- მობილური ტელეფონი, რომლის ხმა ისმის ან რომელიც ჩანს აკადემიის შენობის ნებისმიერ ადგილას, გარდა წინასწარ განსაზღვრული დროისა;
- წყლის ბომბები და სუნიანი ბომბები;
- ტექნიკური საშუალებები, რომლებმაც, შესაძლოა, ხელი შეუშალოს სასწავლო პროცესს;
- ძვირადღირებული ნივთები ან დიდი ოდენობის ფული;
- აზარტული თამაშების საშუალებები;

შემდეგი ნივთები ითვლება სახიფათო აკრძალულ ნივთებად და მათი ფლობა იწვევს სერიოზული დისციპლინური ქმედებების განხორციელებას.

**სახიფათო აკრძალული ნივთები**

- იარაღი – ან ნებისმიერი ნივთი, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას საკუთარი თავის ან სხვებისათვის ზიანის მისაყენებლად;
- ბასრი საგნები, მათ შორის ლითონის სავარცხელი;
- სიგარეტი ან/და მოსაწევი საშუალებები, მათ შორის ნარგილე, ელექტროსიგარეტი, ბურნუთის მოსაწევი მილი და თამბაქო;
- სანთებელა და ასანთი;
- ალკოჰოლური საშუალებები;
- უკანონო ნარკოტიკული საშუალებები;
- ფეიერვერკი;
- ასაფეთქებელი ნივთიერებები;
- მომწამლავი ნივთიერებები;
- სათამაშო იარაღი, ხმალი, დანა (ნებისმიერი სახის სათამაშო იარაღი);
- ელექტროსიგარეტი;
- ხელოვნებისა და კვების ტექნოლოგიების ბასრი მასალები, რომელთა სკოლაში შეტანა არ არის შეთანხმებული და რომლებიც არ ინახება შესაბამის სივრცეში;
- ფსიქოტროპული საშუალებები, ექიმის შესაბამისი ნებართვის გარეშე;

## დანართი C – ხელშეკრულება მოსწავლის/მშობლის ქცევის ვალდებულების შესახებ

**ბრიტანულ-ქართული აკადემია**
გპირდებით, რომ:

- უზრუნველვყოფთ ყველა მოსწავლის უსაფრთხოებას, დაცულობასა და წარმატებას;

- შევქმნით ყველაზე უსაფრთხო სასწავლო გარემოს, სადაც მოსწავლის ყველა საზრუნავი აღინიშნება და გატარდება შესაბამისი ღონისძიებები;

- უზრუნველვყოფთ მშობელთა ინფორმირებას შეხვედრებისა და ღონისძიებების შესახებ და დაუყონებლივ დავუკავშირდით მშობლებს ნებისმიერი სახის პრობლემის შემთხვევაში;

- აღვრიცხავთ, შევაქებთ და დავაჯილდოებთ წარმატებულ მოსწავლეებს;

- უზრუნველვყოფთ სწავლის საუკეთესო შესაძლებლობებს ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული სასწავლო გეგმის მეშვეობით;

- ზუსტად და რეგულარულად შევაფასებთ და ანგარიშგებას განვახორციელებთ მოსწავლეთა პროგრესის შესახებ;

- მოგაწოდებთ შენიშვნებს ყოველდღიურ დავალებასთან და გასამეორებელ მასალასთან დაკავშირებით;

- უზრუნველვყოფთ შესაძლებლობას მშობლებისთვის, რათა დაეხმარონ ყველა მოსწავლეს წარმატების მიღწევაში;

**მოსწავლეები**

გპირდებით, რომ სრულად მომზადებული ვიქნები ბრიტანულ-ქართული აკადემიის მიერ შემოთავაზებული შესაძლებლობებისთვის და დავიცავ აკადემიის ეთიკურ პრინციპებს:

- პატივს ვცემ საკუთარ თავს, ჩემ ირგვლივ მყოფ ყველა პირს და ჩემს გარემოს;
- ყოველთვის გამოვცხადდები დროულად და სწავლისთვის სრულად აღჭურვილი;
- არ შევეხები სხვის ნივთებს, ჩემი ნივთებით სხვებს არ შევაწუხებ და შევასრულებ მითითებებს პირველივე ჯერზე;
- მაქსიმალურად გამოვიყენებ ჩემს განათლებას.
- მონაწილეობას მივიღებ, ვითანამშრომლებ და პატივს ვცემ სხვა მოსწავლეებსა და თანამშრომლებს გაკვეთილებზე და სხვა დროს;
- შევიმუშავებ თვითდისციპლინას და ავიღებ პასუხისმგებლობას საკუთარ ქმედებებზე ;
- პატივს ვცემ საკუთარ და სხვა ადამიანების ქონებას და გავუფრთხილდები წიგნებსა და აღჭურვილობას;
- ვივლი (არ ვირბენ) აკადემიაში გადაადგილების დროს;
- შევატყობინებ თანამშრომლებს ნებისმიერი წუხილის ან საჩივრის შესახებ, რომელიც შეიძლება მქონდეს სხვა მოსწავლის მიმართ;
- ვიქნები პუნქტუალური და ვატარებ სათანადო ფორმას.

მოსწავლის სახელი, გვარი _____

მოსწავლის ხელმოწერა _____

**მშობლები/მზრუნველები**

გპირდებით, რომ:

- გავაგზავნი ჩემს შვილს სკოლაში ყოველდღე, სწავლისთვის აღჭურვილს და სრულყოფილ ფორმაში;
- არ ავიღებ შვებულებას სემესტრის მიმდინარეობისას;

- წავახალისებ და მხარს დავუჭერ ჩემს შვილს საკლასო დავალებების, საშინაო დავალებების, გამეორებისა და კლასგარეშე აქტივობების უმაღლესი სტანდარტებით შესრულების მოთხოვნით;

- დავრწმუნდები, რომ, მოთხოვნის შემთხვევაში, ჩემი შვილი ესწრება და მონაწილეობას იღებს ჩარევების სესიებში;

- ვაცნობებ ბრიტანულ-ქართულ აკადემიას ნებისმიერ პრობლემას, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ჩემი შვილის სწავლაზე ან კეთილდღეობაზე;

- გავეცნობი აკადემიაში განვითარებულ მოვლენებს საინფორმაციო ბიულეტენის, ანგარიშებისა და სხვა მიმოწერის მეშვეობით;

- დავესწრები მშობელთა ყველა საღამოს, პროგრესის მიმოხილვის დღეებსა და აკადემიის მიერ მოთხოვნილ ნებისმიერ სხვა შეხვედრას.

მშობლის/მზრუნველის სახელი, გვარი _____

მშობლის/მზრუნველის ხელმოწერა _____

## დანართი D

ქცევის კოდექსი ეფუძნება საქართველოს კანონს „ზოგადი განათლების შესახებ“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №79/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „მოსწავლის ქცევის კოდექსს“. იგი არეგულირებს მოსწავლის დისციპლინას სკოლაში და სკოლის მიერ ორგანიზებული ღონისძიებების დროს.

ქცევის კოდექსის მიზანია შექმნას ისეთი სასწავლო გარემო, სადაც მოსწავლე შეძლებს ცოდნის მიღებას, უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და ღირებულებების ჩამოყალიბებას.

სკოლა/აკადემია ვალდებულია ყველა მასწავლებელს, მოსწავლესა და მშობელს (შემდგომში „ქცევის კოდექსის ადრესატები“) გააცნოს მოსწავლის ქცევის კოდექსი (შემდგომში „ქცევის კოდექსი“ ან „ კოდექსი”). გაცნობა გულისხმობს სკოლის მიერ კოდექსის ელექტრონული ვერსიის ან შესაბამისი ბმულის გაგზავნას განსაზღვრული პირებისთვის ელექტრონული ფოსტით ან/და მისი თვალსაჩინოდ წარმოდგენით და ამავდროულად უზრუნველყოფს ამ ინფორმაციის კოდექსის ადრესატებისთვის ეფექტურად მიწოდებას. კოდექსი ვრცელდება ყველა მოსწავლეზე, მოქალაქეობის მიუხედავად.

სკოლის ადმინისტრაცია, მასწავლებლები, სკოლაში დასაქმებული სხვა თანამშრომლები და მშობლები მხარს უჭერენ მოსწავლეს ქცევის კოდექსის დაცვაში.

ქცევის კოდექსი ხელს უწყობს მოსწავლის მიერ საკუთარი თავის მართვას, მოსწავლეთა დისციპლინას და ურთიერთპატივისცემას, სკოლაში კეთილგანწყობილი და უსაფრთხო სასწავლო გარემოს დამკვიდრებას.

მოსწავლის მიერ ამ კოდექსით განსაზღვრული ქცევის ნორმების დარღვევა იწვევს დისციპლინური დევნის დაწყებას წინამდებარე კოდექსის, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სკოლის შინაგანაწესით დადგენილი წესით.

ქცევის კოდექსის მიზანია, დანერგოს მოსწავლის ქცევის ერთიანი წესები.

**პასუხისმგებლობა ქცევის კოდექსის დარღვევისთვის**

კოდექსით განსაზღვრული ქცევის ნორმების დარღვევა იწვევს დისციპლინური სახდელის ამოქმედებას წინამდებარე კოდექსით, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და სკოლის შინაგანაწესით დადგენილი წესით.